09/09/2026

MES 5 26 0001184756

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 31 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=84591182772
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
თეკლე ცუცქირიძე
თემურ საღინაძე
ხათუნა ბაკურაძე
მამუკა ხოშტარია
ნინო ქიტიაშვილი
ვალერი ჯაჯანიძე
ზაირა ბერიძე
ბექარ კილასონია
გიორგი მამასახლისი
მაია გრიგალაშვილი
დავით ბიტმალკიშევი

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი
დირქტორი - ნოდარ ხარაზიშვილი
დირქტორის მოადგილე - მაია ომიაძე
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - თამარ გიორგობიანი

სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“
დირექტორი - ირმა ჯაფარიძე
დირექტორის მოადგილე - ნანული ხვისტანი
ხარისხის მართვის მენეჯერი - თეონა ჯაფარიძე

შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია
დირექტორის მოადგილე - ნინო ხორავა
კანცლერი - მარიამ გოგუაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯი „თეთნულდისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“, „კონდიტერია“, „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თანმიმდევრობის ცვლილების შესახებ. მან განმარტა, რომ პირველ საკითხზე მომხსენებელმა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თეკლე ცუცქირიძემ, მნიშვნელოვან შეხვედრაში მონაწილეობის გამო ითხოვა საკითხის განხილვის დროის გადანაცვლება. აღნიშნულთან დაკავშირებით კონსულტაცია გაიმართა გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის ხელმძღვანელობასთან და ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან, რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა, პირველ საკითხად წარედგინათ დღის წესრიგში მეორე ნომრად მითითებული პროგრამების დამატების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი შუამდგომლობა და ითხოვა საბჭოს წევრების პოზიციის დაფიქსირება დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირა მხარი დღის წესრიგის ცვლილებას.

განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯი „თეთნულდისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“, „კონდიტერია“, „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და მიმოიხილა სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ განხორციელებული ვიზიტის შედეგები. მან აღნიშნა, რომ შეფასდა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“. სამივე პროგრამა მიეკუთვნება პროფესიული განათლების მესამე დონეს, ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით რეალურ სამუშაო გარემოში და თითოეულზე მოთხოვნილია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 40 ერთეულის ოდენობით, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამების დამატების საჭიროება დასაბუთებულია მიზანშეწონილობის დოკუმენტით. გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და დასაქმების შესაძლებლობები. პროგრამები შეესაბამება კოლეჯის მიმართულებას და გამოცდილებას. სტრუქტურა, მიზნები, პროგრამის სწავლის შედეგები კავშირშია ერთმანეთთან.

დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი. უზრუნველყოფილია მატერიალური და სასწავლო რესურსები. გათვალისწინებულია პრაქტიკული სწავლებისა და რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შესაძლებლობები. მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამების განხორციელებას. პროგრამებს ჰყავთ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელები და განმახორციელებლები.

პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედებს პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამების პერიოდულ შეფასებას, შედეგების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.
სასწავლო პროცესი ორგანიზებულია დამტკიცებული სასწავლო გეგმების შესაბამისად. გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები და საჭიროებები. გამოიყენება დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები და თანამედროვე სასწავლების მიდგომები.

შეფასების სისტემას რაც შეეხება, იგი ორიენტირებულია ვალიდურობაზე, სანდოობაზე, გამჭვირვალობაზე, სამართლიანობასა და ობიექტურობაზე. უზრუნველყოფილია შეფასების შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი.
ექსპერტმა წარადგინა კონკრეტული მონაცემები თითოეული პროგრამის შესახებ. „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთების“ 46-კრედიტიან პროგრამაზე გამოყოფილია 20 მასწავლებელი, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ 44-კრედიტიან პროგრამაზე – 20 მასწავლებელი, ხოლო „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ 69-კრედიტიან პროგრამაზე – 21 მასწავლებელი. სამივე პროგრამის შემთხვევაში დადასტურდა პარტნიორი ორგანიზაციების მზადყოფნა პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ კოლეჯს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება ამ მიმართულებით და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საქართველოში უნიკალურია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან და არსებულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. კერძოდ, დასკვნის მიხედვით, პრაქტიკული მეცადინეობები უნდა ჩატარებულიყო ავტოსახელოსნოში, სადაც ფიქსირდებოდა ორი ამწე და ორი სასწავლო ავტომობილი. თავმჯდომარე დაინტერესდა საათობრივი ბადითა და განრიგით, თუ როგორ უზრუნველყოფდა კოლეჯი 120 სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარების ეფექტიან ათვისებას რესურსების დეფიციტის გარეშე.

დარგობრივმა ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ განმარტა, რომ სასწავლო გარემო ყველა პროგრამისთვის ერთგვაროვანი არ არის. ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების პროგრამისთვის გამოყოფილია ცალკე ორი სასწავლო სივრცე, სადაც განთავსებულია გერმანული წარმოების („ლუკასის“) უნიკალური სიმულაციური სტენდები და სპეციალურად გადაკეთებული სასწავლო ავტოსატრანსპორტო საშუალება. აღნიშნული ჯგუფი სახელოსნოს იყენებს მხოლოდ ნაწილობრივ, ერთი კონკრეტული მოდულის ფარგლებში. რაც შეეხება ძრავას შეკეთების პროგრამას, მისთვის გამოყოფილია ცალკე ოთახი შესაბამისი მოწყობილობებით, ხოლო სავალი ნაწილისა და ელექტროობის პროგრამების პრაქტიკული ნაწილი განაწილებულია შესაბამის სივრცეებში.

კოლეჯის დირექტორმა, ნოდარ ხარაზიშვილმა დააზუსტა, რომ კოლეჯში ამწეების საერთო რაოდენობა შეადგენს სამს (ორი ერთ სივრცეში, ხოლო ერთი – ძრავის სახელოსნოში). მან აღნიშნა, რომ კოლეჯის სახელოსნოები ინფრასტრუქტურულად გამორჩეულია და სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალ სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ასევე, დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროგრამასთან დაკავშირებით, სადაც სწავლების ფორმად მითითებული იყო კოოპერაციული სწავლება. ვინაიდან თვლების შეყრის კორექტირების აპარატი კოლეჯს საკუთარ ბაზაზე არ გააჩნდა და იგი სრულად პარტნიორ ორგანიზაციებზე იყო დამოკიდებული, ხოლო დასკვნაში ეწერა, რომ საწარმოო ბაზები გამოიყენება „საჭიროების შემთხვევაში“, თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად უზრუნველყოფდა აღნიშნული ჩანაწერი კოოპერაციული სწავლების სტანდარტსა და პროგრამის მდგრადობას.

ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ განმარტა, რომ თვლების შეყრის კორექტირების აპარატი სჭირდება მხოლოდ ერთ მოდულს (ერთ სწავლის შედეგს), რისთვისაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან. ჩანაწერი „საჭიროების შემთხვევაში“ ეხებოდა სხვა იმ მოდულებს, რომელთა განხორციელებაც კოლეჯს საკუთარ ბაზაზე არსებული აღჭურვილობითაც თავისუფლად შეუძლია. შესაბამისად, პარტნიორული ბაზების გამოყენება სავალდებულოა კონკრეტულ მოდულზე, ხოლო დანარჩენზე – დამხმარე ხასიათისაა. ექსპერტმა ხაზი გაუსვა კოლეჯის დიდ გამოცდილებასა და ავტორიტეტს აღნიშნული მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 31 აგვისტო.

საბჭოს წევრი ხათუნა ჩხარტიშვილი შემოუერთდა სხდომას.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიისთვის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზაირა ბერიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და წარმოადგინა დასკვნა შპს „საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის" ავტორიზაციის შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის ზაფხულში. დაწესებულება არის ახალი და პირველად იწყებს პროფესიული პროგრამების განხორციელებას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას უკვე ჰქონდა მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების უფლება მოპოვებული და კომპლექტდებოდა ჯგუფი სასწავლო პროცესის დასაწყებად. ვიზიტის ფარგლებში ძირითადად მოხდა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა და მექანიზმების არსებობის შესაბამისობის დაზუსტება, ხოლო საოპერაციო აქტივობები ჯერ არ იყო დაწყებული.

დაწესებულება ითხოვდა ავტორიზაციას და სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებას: „Front-End დეველოპმენტი", „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" და „სპორტის ინსტრუქტორობა".

გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „სპორტის ინსტრუქტორობა".:
2.2.1.2 დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის განსახორციელებლად პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკმარისი რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მდგრადი და შეუფერხებელი განხორციელება.
2.2.1.4 დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის შინაარსის, მოდულების, სწავლის შედეგებისა და პროგრამის განხორციელების სპეციფიკის სრულყოფილი ცოდნა, რაც აუცილებელია პროგრამის ეფექტიანი კოორდინაციისთვის.
2.4.1.5 დაწესებულებამ, პროგრამის კოოპერაციული სწავლების ფორმით განხორციელების შემთხვევაში, უზრუნველყოს პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობის, პროგრამის განხორციელების მექანიზმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობა პროგრამის განხორციელების შერჩეულ ფორმასთან.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით - მიზანშეწონილია დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების პერიოდული გადახედვის პროცესში უზრუნველყოს მათ შორის შინაარსობრივი, ტერმინოლოგიური და პროცედურული თანხვედრა, ასევე გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა.
1.1.1.2 - მისიის ფორმულირებაში უფრო მკაფიოდ აისახოს დაწესებულების მრავალპროფილური საქმიანობის მიმართულებები და ის მახასიათებლები, რომლებიც მის სპეციფიკურ როლსა და პოზიციონირებას წარმოაჩენს პროფესიული განათლების სისტემაში.

1.2.1.3 - სასურველია დაწესებულებამ გადახედოს სამოქმედო გეგმის ტექნიკურ ნაწილს და უზრუნველყოს აქტივობების, ვადებისა და ინდიკატორების უფრო მკაფიო და ერთგვაროვანი ფორმულირება.
2.2.1.2 - სამივე პროგრამის ფარგლებში, მიზანშეწონილია პროგრამის განხორციელების დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის პროფესიული განათლების სისტემის, მოდულური სწავლების სპეციფიკისა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომების შესახებ ინდუქციის (საორიენტაციო) ტრენინგის ჩატარება.

ექსპერტმა მიმოიხილა თითოეული სტანდარტი:
პირველი სტანდარტი - მისია და სტრატეგიული განვითარება: მისია და სტრატეგიული გეგმა შესაბამისია დაწესებულების პროფილთან. სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება საჭიროების ანალიზს და მოიცავს შესაბამის აქტივობებს და გაზომვად მიზნებს. შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის მექანიზმი.
მესამე სტანდარტი - პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა: შემუშავებული მექანიზმები მოიაზრებს როგორც სპეციალური საჭიროების შემთხვევაში მხარდამჭერ აქტივობებს, ასევე საჩივრების განხილვას და სტუდენტთა უფლებებს.
მეოთხე სტანდარტი - ადამიანური რესურსები: დაწესებულებას აქვს სტრუქტურა, განაწილებული პოზიციები და შესაბამისი პირები აყვანილი. პერსონალის შერჩევის, დაქირავების, შეფასების პროცესები გამჭვირვალეა. გეგმავს პროფესიული განვითარების ტრენინგებს. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა მათი მზაობა პროფესიულ განათლებაში ინტეგრაციისთვის.
მეხუთე სტანდარტი - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები: დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობა იჯარით აღებული, რაც შეესაბამება საგანმანათლებლო სივრცისთვის საჭირო რესურსებს. შენობა აღჭურვილია ტექნიკური აღჭურვილობით და შეესაბამება უსაფრთხოების პირობებს. იჯარის ხელშეკრულება შეესაბამება ავტორიზაციის ხანგრძლივობას. არის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა (ეფლოუ) და ელექტრონული ბიბლიოთეკა. ფინანსური უზრუნველყოფა გაწერილია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში.
ინსტიტუციური სტანდარტები (პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე) შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.
რაც შეეხება პროგრამულ ნაწილს, ექსპერტმა მიმოიხილა სამივე პროგრამა:

პროგრამა „Front-End **დეველოპმენტი":** დონე მე-4, 46 კრედიტი, განხორციელების ფორმა დისტანციური, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 200 (ორ მიღებაზე, თითო მიღება 100 სტუდენტი, ოთხ ჯგუფად). პროგრამა შესაბამისია სტანდარტებთან. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი პედაგოგები, არის ელექტრონული ბიბლიოთეკა და გამოყოფილი აუდიტორიები იმ ორი მოდულისთვის, რომელიც დისტანციურად ვერ განხორციელდება.

პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი": დონე მე-4, 44 კრედიტი, განხორციელების ფორმა ადგილზე სწავლება, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შემცირდა 60-დან 30-მდე (სამი ჯგუფი, თითოეული 10 სტუდენტით). ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სასწავლო სივრცეების გამტარიანობიდან გამომდინარე, 60 სტუდენტის მიღება შეუძლებელია, რის გამოც კვოტა შემცირდა 30 სტუდენტამდე. პროგრამა შესაბამისია სტანდარტებთან. დაწესებულება თანამშრომლობს სამ პრაქტიკის ობიექტთან.

პროგრამა „სპორტის ინსტრუქტორობა": დონე მე-5, 69 კრედიტი, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 140. ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზები: არ იყო საკმარისი რაოდენობის პედაგოგები და პროგრამის ხელმძღვანელს არ ჰქონდა საკმარისი გამოცდილება განათლების კუთხით. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის პარალელურად წარმოადგინა

შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს 2026 წლის აგვისტოდან ნოემბრის 25-მდე საორიენტაციო პერიოდს ყველა გამოვლენილი უზუსტობის აღმოსაფხვრელად. შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეფასება გადაიტანეს მეტწილად შესაბამისობაში.
პროგრამული სტანდარტის შეფასება: Front-End დეველოპმენტი და მოდის ტექნოლოგია და დიზაინი - შესაბამისი; სპორტის ინსტრუქტორობა - მეტწილად შესაბამისი.
პრეზენტაციის დასასრულს, ზაირა ბერიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებას გააზრებული აქვს გაცემული რეკომენდაციები და გააჩნია საკმარისი დრო და რესურსი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

დაწესებულებამ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც თან ახლდა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ღონისძიებების რელევანტურობა, განხორციელების ვადები და მიღწევადობა. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ განსაზღვრული ღონისძიებები შესაბამისობაშია გამოვლენილ საკითხებთან და მათი განხორციელება 2026 წლის 25 ნოემბრამდე რეალისტური და მიღწევადია. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ იქნა საბოლოო შეფასებების განსაზღვრისას. შესაბამისობის გეგმისა და არგუმენტირებული პოზიციის დეტალური შეფასება წარმოდგენილია შესაბამის ინდიკატორებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, აღნიშნა, რომ პრეზენტაციის მსვლელობისას მის შეკითხვებს ნაწილობრივ გაეცა პასუხი, თუმცა გამოხატა ინტერესი ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა სტუდენტების ადგილების შემცირებას, „Front-End დეველოპმენტისა“ და „მოდის დიზაინის“ პროგრამებზე არსებულ კვოტებსა და პედაგოგების პრაქტიკის ნაწილში გამოკვეთილ ხარვეზებს. მან ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რა იგულისხმებოდა ტექნიკურ ხარვეზებში და იყო თუ არა დაკავშირებული პედაგოგთა კვალიფიკაციასთან.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ზაირა ბერიძემ, განმარტა, რომ „Front-End დეველოპმენტისა“ და „მოდის დიზაინის“ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ხარვეზები და სარეკომენდაციო შენიშვნები არ დაფიქსირებულა. მისი განცხადებით, ტექნიკური მიგნებები ეხებოდა მხოლოდ დოკუმენტაციას და არა პროგრამების განხორციელებას ან ადამიანურ რესურსს. მან აღნიშნა, რომ დასახელებულ ორ პროგრამაზე ჩართულნი არიან კვალიფიციური პედაგოგები და პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც სხვადასხვა კოლეჯში აქტიურად ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას. ექსპერტმა დაამატა, რომ გაცემული რეკომენდაციები ატარებდა განმავითარებელ ხასიათს და გამოწვეული იყო დაწესებულების, როგორც კოლეჯის, ოპერირების პირველადი გამოცდილებით.

რაც შეეხება მესამე - „სპორტის ინსტრუქტორის“ - პროგრამას, ზაირა ბერიძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ჩართულნი არიან ძლიერი დარგობრივი სპეციალისტები, თუმცა იკვეთება მათი მეთოდოლოგიური მომზადების საჭიროება. მან განმარტა, რომ თავდაპირველი შეფასებით აღნიშნულ კომპონენტში დაფიქსირდა ხარვეზი პედაგოგთა საკმარისი რაოდენობისა და პედაგოგიური გამოცდილების ნაკლებობის გამო, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე (რომლის ვადადაც განისაზღვრა 2026 წლის 25 ნოემბერი), შეფასება შეიცვალა „მეტწილ შესაბამისობად“. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას აქვს საკმარისი რესურსი და იმიტირებული სივრცეები, რათა აღნიშნულ ვადაში უზრუნველყოს კადრების ჯეროვანი მომზადება და სასწავლო პროცესის წარმართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტის პრეზენტაციამ პასუხი გასცა ექსპერტთა დასკვნაში არსებულ ბუნდოვან საკითხებს. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტის (მისია, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა) ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები დაწესებულებამ უნდა მიიღოს, როგორც სავალდებულო შესასრულებელი მოთხოვნები. ელენე კაკაბაძის განმარტებით, ვინაიდან დაწესებულება პირველად გადის ავტორიზაციას, შეფასება ეფუძნება დოკუმენტაციის სიზუსტესა და სტანდარტებთან შესაბამისობას. მან მოუწოდა დაწესებულებას, სამოქმედო გეგმაში ასახოს მხოლოდ რეალისტური და განხორციელებადი აქტივობები.

დამატებით, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების პროექტში ტექნიკური ცდომილებით დაფიქსირებული იყო „მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინზე“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 60, რაც ჩასწორდებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული 30 სტუდენტის ოდენობით. საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა აღნიშნულ ჩასწორებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიას (ს/კ: 405795714) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 2).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 31 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორობა“. მონიტორინგი განხორციელდეს 2.2 და 2.4 კომპონენტებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ექსპერტთა ადგილზე ვიზიტი, ხოლო ვიზიტის განხორციელების თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 26 ნოემბერი.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ცერცვაძემ დატოვა სხდომა.

მესამე საკითხი: სსიპ კოლეჯი „თეთნულდისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“, „კონდიტერია“, „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თეკლე ცუცქირიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ 2026 წლის 30-31 ივლისს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ კოლეჯ „თეთნულდში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ წარმოდგენილი განაცხადების განხილვის ფარგლებში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სსიპ კოლეჯ „თეთნულდის“ მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „ხის მხატვრული დამუშავება“, „კონდიტერია“ და „კულინარიის ხელოვნება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის არსებულ პირობებს, შეაფასა სასწავლო გარემო, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, სასწავლო სივრცეები, პროგრამების განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია და პროგრამების უზრუნველყოფის შესაძლებლობები. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე განახორციელა შეხვედრები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, დაათვალიერა შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურა და შეაფასა პროგრამების: „ხის მხატვრული დამუშავება“, „კონდიტერია“ და „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან.

დაფიქსირდა ხარვეზები და გაიცა რეკომენდაციები:

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.2.1.1. სსიპ კოლეჯ თეთნულდში პროგრამება "კულინარია" ხორციელდება ინტეგრირებული სწავლებითაც. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 6 მარტის №14/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების შესაბამისად, „საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების ინტეგრირების წესსა და პირობებში" განახლდა ინტეგრირებული ზოგადი მოდული „მეცნიერება და ტექნოლოგიები", რომლის სტრუქტურაში გათვალისწინებულია, მათ შორის, ქიმიის ვირტუალური ლაბორატორია — ვირტუალური სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს თეორიული მასალის უკეთ ათვისებასა და ექსპერიმენტების ვირტუალურად განხორციელებას. შესაბამისად, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N02/57; 03/08/2026წ) რომელშიც აღნიშნული საკითხი შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისი" სტანდარტის მოთხოვნებთან. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისათვის საჭირო აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. დაგეგმილი აქტივობები მიმართულია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები" ფარგლებში ქიმიის ვირტუალური ლაბორატორიის ეფექტიანი გამოყენებისა და სასწავლო პროცესში მისი ინტეგრირების უზრუნველყოფისკენ. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებსა და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები და უზრუნველყოს ქიმიის ვირტუალური ლაბორატორიის ეფექტიანი გამოყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტთა შეფასებით, **დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

2.2.1.1. სსიპ კოლეჯ თეთნულდში პროგრამება "ხის მხატვრული დამუშავება" ხორციელდება ინტეგრირებული სწავლებითაც. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 6 მარტის №14/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების შესაბამისად, „საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების ინტეგრირების წესსა და პირობებში" განახლდა ინტეგრირებული ზოგადი მოდული „მეცნიერება და ტექნოლოგიები", რომლის სტრუქტურაში გათვალისწინებულია, მათ შორის, ქიმიის ვირტუალური ლაბორატორია — ვირტუალური სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს თეორიული მასალის უკეთ ათვისებასა და ექსპერიმენტების ვირტუალურად განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ კოლეჯს გააჩნია ლაბორატორიული სივრცისთვის განკუთვნილი გამწოვი კარადა, თუმცა იგი ამ ეტაპზე არ არის დაკავშირებული შესაბამის საჰაერო გამწოვ სისტემასთან და შესაბამისად, ფუნქციურად ვერ გამოიყენება. ასევე, კოლეჯში ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს ქიმიის ვირტუალური ლაბორატორია. კოლეჯის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს შესაბამისი კომუნიკაცია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების მიმართულების დეპარტამენტთან და აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმილია ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს დაგეგმილი და განსაზღვრული აქვს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები და მათი უზრუნველყოფის ღონისძიებები, ვიზიტის პერიოდში არსებული მდგომარეობით ვერ დასტურდება პროგრამის, ინტეგრირებული მიდგომით გათვალისწინებული კომპონენტების, სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების სრულად ხელმისაწვდომობა

და ფუნქციონირება. შესაბამისად, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N02/57; 03/08/2026წ) სადაც აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისათვის საჭირო აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. გეგმით გათვალისწინებულია ქიმიის ვირტუალური ლაბორატორიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ასევე ლაბორატორიული სივრცისთვის განკუთვნილი გამწოვი კარადის შესაბამის საჰაერო გამწოვ სისტემასთან დაკავშირება და მისი ფუნქციურად გამოყენების უზრუნველყოფა. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებსა და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები და უზრუნველყოს პროგრამის, მათ შორის ინტეგრირებული სწავლების კომპონენტების, სრულფასოვანი განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა და ფუნქციონირება. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

2.2.1.1. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მატერიალური რესურსის ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯს პროგრამების “კულინარია” განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი განსაზღვრული და დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა ადგილზე შემოწმებისას გამოიკვეთა, რომ რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ეტაპზე ჯერ არ არის შეძენილი და მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურები. კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულად შექმნა, თუმცა ვიზიტის განხორციელების მომენტში პროგრამით გათვალისწინებული ყველა რესურსის ფაქტობრივი ხელმისაწვდომობა ვერ დასტურდება. შესაბამისად, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N02/57; 03/08/2026წ) სადაც აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს, როგორც „მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისათვის საჭირო აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. გეგმით გათვალისწინებულია პროგრამის „კულინარია“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შესყიდვა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულად აღჭურვა და პროგრამის დაწყებამდე ყველა საჭირო რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებსა და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები და პროგრამის „კულინარია“ განხორციელების დაწყებამდე უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული ყველა საჭირო მატერიალური რესურსის შეძენა, ხელმისაწვდომობა და ფუნქციონირება. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

2.2.1.1. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მატერიალური რესურსის ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯს პროგრამების

“კონდიტერია” განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი განსაზღვრული და დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა ადგილზე შემოწმებისას გამოიკვეთა, რომ რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ეტაპზე ჯერ არ არის შეძენილი და მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურები. კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულად შექმნა, თუმცა ვიზიტის განხორციელების მომენტში პროგრამით გათვალისწინებული ყველა რესურსის ფაქტობრივი ხელმისაწვდომობა ვერ დასტურდება. შესაბამისად, ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N02/57; 03/08/2026წ) სადაც აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრისათვის საჭირო აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. გეგმით გათვალისწინებულია პროგრამის „კონდიტერია“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შესყიდვა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულად აღჭურვა და პროგრამის დაწყებამდე ყველა საჭირო რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, რესურსებს, აქტივობებსა და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები და პროგრამის „კონდიტერია“ განხორციელების დაწყებამდე უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული ყველა საჭირო მატერიალური რესურსის შეძენა, ხელმისაწვდომობა და ფუნქციონირება. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.1.6. ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში სამუშაო პროცესი მიმდინარეობს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით. ამასთან, უსაფრთხოების კულტურის კიდევ უფრო გაძლიერებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია: კოლეჯს რეკომენდაცია ეძლევა შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, კერძოდ:

1. სადურგლო სახელოსნოში უსაფრთხოების ნიშნების შერჩევისა და სათანადოდ განთავსების მიმართულებით;
2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (PPE) გამოყენების პოლიტიკის დაზუსტებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით;
3. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების წესებზე დამატებითი ინსტრუქტაჟის მიმართულებით.

2.4.1.3 კოლეჯს ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციის მიმართულებით, კერძოდ:

- CAD/CAM პროგრამების გამოყენების გაძლიერება;
- CNC ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უნარების განვითარება;
- ტრადიციული სადურგლო ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ციფრული მიდგომების შერწყმა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეული პროგრამის პროფესიული განათლების დონე არის მე-4. პროგრამების განხორციელების ფორმა არის იმიტირებული სამუშაო გარემო.

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები:

- ხის მხატვრული დამუშავება: 30 სტუდენტი (20 არაინტეგრირებული, 10 ინტეგრირებული);
- კულინარია: 40 სტუდენტი (30 არაინტეგრირებული, 10 ინტეგრირებული);
- კონდიტერია: 20 სტუდენტი (მხოლოდ არაინტეგრირებული).

სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება: კომპონენტები 2.1, 2.3 და 2.4 - სრული შესაბამისობა; კომპონენტი 2.2 - მეტწილად შესაბამისობა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს 2.2 კომპონენტი (პროგრამის განმახორციელებელი რესურსი) დაფიქსირდა ხარვეზად, რადგან კულინარიისა და კონდიტერიის პროგრამების ფარგლებში მატერიალური რესურსების დაახლოებით 60% არ იყო შესყიდული. ასევე, ინტეგრირებული სწავლებისთვის აუცილებელი გამწოვი კარადა არ იყო ფუნქციონირებადი და არ იყო შესყიდული ქიმიის ვირტუალური ლაბორატორია.
დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის პარალელურად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს ოთხი თვის ვადაში ყველა გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრას. შესყიდვის პროცესი უკვე დაწყებული იყო და წარმოდგენილი იყო განათლების სამინისტროსთან მიმოწერილობა.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა შესაბამისობის გეგმა და შეფასება გადაიტანა მეტწილად შესაბამისობაში.
პროგრამების ზოგადი მახასიათებლები:

- პროგრამები შესაბამისია დაწესებულების მისიასთან და მოთხოვნადია შრომის ბაზარზე;
- თითოეულ პროგრამას ჰყავს კვალიფიციური მასწავლებლები და შესაბამისი აღჭურვილობა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 95%-ს შეადგენს;
- მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამების მდგრად განხორციელებას;
- ფინანსური უზრუნველყოფა არის მდგრადი;
- მოქმედებს პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დასვა შეკითხვები წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის, კერძოდ, სიმულაციური ლაბორატორიის შეძენასა და შესაბამისობის გეგმის შესრულების რეალურობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სწავლის დაწყება დაგეგმილია 1 დეკემბერს.

ავტორიზაციის ექსპერტმა, თეკლე ცუცქირიძემ, განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამები ახლდება ახალი სტანდარტების შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ ჩატარდა გასაუბრება მოდულის განმახორციელებელთან, რომელმაც დაადასტურა, რომ საფრთხის შემცველი ცდები პროცესის სრულყოფამდე არ ჩატარდება. დაწესებულებას აქვს ალტერნატივა: მოაწყოს გამწოვი კარადა ან გააფორმოს ხელშეკრულება ვირტუალურ ლაბორატორიასთან. გარდა ამისა, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან აქტიურად მიმდინარეობს მიმოწერა და შესყიდვების პროცესი უკვე დაწყებულია, რის გამოც პროცესის დასრულება დათქმულ ვადებში რეალისტურად იქნა მიჩნეული.

ნათია ბუთხუზი, ასევე, დაინტერესდა „ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა შრომის უსაფრთხოებასა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს (ხელთათმანები და სპეციალური აღჭურვილობა).

დარგის ექსპერტმა, მამუკა ხოშტარიამ, დეტალურად ისაუბრა ხის დამუშავების სფეროში შრომის უსაფრთხოების სპეციფიკასა და საერთაშორისო სტანდარტებზე. მან აღნიშნა, რომ ხის დამუშავება მიეკუთვნება მომატებული საფრთხის შემცველ ინდუსტრიას და ზოგიერთი ტექნოლოგიური ოპერაციის დროს (მაგალითად, მჭრელ დაზგებთან მუშაობისას) ხელთათმანის გამოყენება, პირიქით, დაუშვებელია, რადგან მან შესაძლოა გამოიწვიოს მძიმე ტრავმა (კიდურის მოწყვეტა). შესაბამისად, რეკომენდაცია ეხებოდა უსაფრთხოების წესებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორ გამოყენებას, ნიშნების თვალის სიმაღლეზე განთავსებასა და პერსონალისა და სტუდენტების დამატებით ინსტრუქტაჟს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, და საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, აღნიშნეს, რომ უსაფრთხოების ნორმების დაცვა წარმოადგენს შესაბამისობის კრიტიკულ პირობას და არა მხოლოდ განმავითარებელ რეკომენდაციას. თეკლე ცუცქირიძემ განმარტა, რომ ადგილზე ძირითადი უსაფრთხოების ნორმები დაცულია, დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების მოწვეული სპეციალისტი, რის გამოც აღნიშნული საკითხი გატანილ იქნა განმავითარებელ რეკომენდაციად.
დამატებით, საბჭოს მდივანმა იკითხა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, რაზეც მამუკა ხოშტარიამ განმარტა, რომ თანამედროვე ეტაპზე ტრადიციული ხელოსნობისა და კომპიუტერული პროექტების (CAD/CAM სისტემები, რიცხვითი პროგრამული მართვის ჩარხები) შერწყმა მნიშვნელოვანია რუტინული სამუშაოების შესამცირებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებულ ხარვეზებსა და ტექნიკურ უზუსტობებზე (მაგალითად, ტექსტობრივ აცდენებზე სხვა პროგრამებთან, შეფასების გრაფების უზუსტობებსა და იმიტირებული/კოოპერაციული გარემოს აღწერაზე). ექსპერტმა თეკლე ცუცქირიძემ დაადასტურა ტექნიკური უზუსტობები და განმარტა, რომ პრაქტიკა სრულად ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, ხოლო პარტნიორ ობიექტებთან (შპს „მთვრალი ალუბალი“ — კულინარია/კონდიტერია; ინდმეწარმე „ზურაბ ფილფანი“ — ხის მხატვრული დამუშავება) გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს მხოლოდ გაცნობით/დაკვირვებით გასვლით აქტივობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან დასკვნაში არის მრავალი უზუსტობა და წინააღმდეგობრივი შეფასებები, საჭიროა მისი გადამუშავება და შესწორება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „თეთნულდისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“, „კონდიტერია“, „ხის მხატვრული დამუშავება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „თეთნულდს“ (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „კულინარია“, „კონდიტერია“, „ხის მხატვრული დამუშავება“ **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 31 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი კოლეჯ „თეთნულდში“ სამივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ექსპერტთა ადგილზე ვიზიტი, ხოლო ვიზიტის განხორციელების თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 1 დეკემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0722
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქN25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	10
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

პროგრამის სახელწოდება	კულინარია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქN25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	10
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	152
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	კონდიტერია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქN25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	54
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი ა. წერეთლის 95 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სპორტის ინსტრუქტორობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სპორტის ინსტრუქტორობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1014
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი ა. წერეთლის 95 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

პროგრამის სახელწოდება	Front-End დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-End დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი ა. წერეთლის 95 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	200
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90